



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 100

2018 წლის 26 ნოემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის  
6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების  
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ №12 განკარგულებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებესათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზებას, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული ქონების „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხა“ - ში შეტანა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ 2018 წლის 6 თებერვლის №12 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში და დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მ.კოსტავას ქ. №15);

საკრებულოს თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო

ობიექტების ნუსხა

---

1. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.016) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 2038.00 მ<sup>2</sup>.
2. ხაშური, იმერეთის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.60.366) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1058.00 მ<sup>2</sup>.
3. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.021) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 1740.00 მ<sup>2</sup>.
4. ხაშური, (ყოფილი აზნეფტის ტერიტორია)(საკადასტრო კოდი 69.03.51.002) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 220575.00 მ<sup>2</sup>
5. ხაშური, (ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორია), (საკადასტრო კოდი 69.08.56.012) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 3431.00 მ<sup>2</sup>.
6. ხაშური, თევდორე მღვდლის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.57.023) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 7872.00 მ<sup>2</sup>.
7. ხაშური, ბექაურის ქუჩა, (საკადასტრო კოდი 69.08.65.014) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 13781.00 მ<sup>2</sup>.
8. ხაშური, სოფელი ტაშისკარი, (საკადასტრო კოდი 69.06.63.023) დანიშნულება არასასოფლო-სამეურნეო ფართობი 1312.00 მ<sup>2</sup>
9. ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებესათვის ვარგისი სამშენებლო მასალები.